ბერლინი

თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურ საბჭოს

მადლობას ვუძღვნი მისალმების გამო მშვიდობისათვის ახალგაზრდა გერმანელ მებრძოლებს — სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრების მონაწილეებს.

ვუსურვებ გერმანელ ახალგაზრდობას, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის აქტიურ მშენებელს, ახალ წარმატებებს ამ დიად საქმეში.

ი. სტალინი

მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

ქალაქ გორის ფიზკულტურელთა ვალდებულება

ქალაქ გორში შედგა ფიზკულტურული აქტივის გაერთიანებული კრება.

აქტივმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. დ. რომელაშვილის მოხსენება ქალაქად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. გ. ხარაულმა, გორის საკონსერვო ქარხნის დირექტორმა ამხ. პ. საყვარელიძემ, აგრონომიული ტექნიკუმის მასწავლებელმა ამხ. ა. ცხოვრებოვმა, პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ამხ. გ. ანიკაშვილმა და სხვებმა.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფარულავა.

პარტიისა და მთავრობის მიერ ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის და ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის გორელმა ფიზკულტურელებმა შემდეგი ვალდებულებები იკისრეს:

1. განვამტკიცებთ ქალაქში არსებულ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, უფრო მიმზიდველსა და შინაარსიანს გავხდიო მათ საქმიანობას.

2. მიმდინარე წლის მანძილზე ქ. გორის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში შევქმნით ფიზკულტურის 25 ახალ კოლექტივს.

3. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო პროპაგანდის საშუალებით მასობრივად ჩავაბამთ ფიზკულტურულ მოძრაობაში ქალაქის ახალგაზრდობას. წლის დასასრულისათვის ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში ჩავაბამთ მოსახლეობის არანაკლებ 25 პროცენტს.

4. საქართველოში სპორტის წამყვანი სახეების შემდგომი დანერგვის საკითხებზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესასრულებლად ქალაქში მიმდინარე წლის მანძილზე მძლეოსნობის სექციებში ჩავაბამთ 880 კაცს, ტანვარჯიშის სექციებში — 840 კაცს, კლასიკური ჭიდაობის სექციებში — 120 კაცს. კალათბურთის სექციებში — 650 კაცს, ფეხბურთის სექციებში — 250 კაცს, ჩოგბურთის სექციებში — 30 კაცს და სპორტის სხვა სახეებში 850 კაცს.

წლის ბოლომდე ჩავატარებთ 30 მასობრივ სპორტულ ღონისძიებას, გავუმჯობესებთ ქალაქის რეკორდებს ყველა სახეში და მივაღწევთ, რომ ქალაქის რეკორდების დონე არ იყოს მეორე თანრიგზე ქვევით.

5. გავუმჯობესებთ ქალთა შორის ფიზკულტურულ მუშაობას, მივაღწევთ, რომ ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატურად მომეცადინეთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტს შეადგენდეს ქალები.

6. სასწავლო-სპორტული მუშაობის სწორად დაყენებით და სპორტის ცალკეულ სახეებში ენერგიული მუშაობით მიმდინარე წელს ფიზკულტურულ კოლექტივებში მოვამზადებთ:

მშთ I საფეხურის ნიშნოსნებს	800 კაცს.
მშთ II საფეხურის ნიშნოსნებს	130 კაცს.
იმშთ ნიშნოსნებს	250 კაცს.
პირველთანრიგოსან სპორტსმენებს	12 კაცს.
მეორეთანრიგოსან სპორტსმენებს	30 კაცს.
მესამეთანრიგოსან სპორტსმენებს	200 კაცს.

7. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ნაციონალური სახეების — ქართული ჭიდაობისა და ლელბურთის დანერგვა-განვითარებას.

8. ფიზკულტურისა და სპორტის ფართო პროპაგანდის მიზნით ქალაქის საუკეთესო სპორტსმენთა ძალებით (ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, მოჭიდავეები, ძალოსნები და სხვ.) შეექმნით ბრიგადებს და რაიონის კოლმეურნეობებში სისტემატურად ჩავატარებთ ამხანაგურ შეჯიბრებებსა და საჩვენებელ გამოსვლებს; მოვაწყობთ ლექცია-საუბრებსა და მოხსენებებს სპორტის საკითხებზე.

9. მოვაწყობთ სემინარებს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეთა მოსამზადებლად. მოვამზადებთ 30 კაცს, ხოლო მოკლევადიან სემინარებზე გადავამზადებთ 25 კაცს.

10. სპორტის სხვადასხვა სახეში და საერთო ფიზიკური მომზადების სექციებში სემინარების საშუალებით მოვამზადებთ 100 საზოგადოებრივ მუშაკს.

11. მოვამზადებთ მსაჯებს სპორტის სხვადასხვა სახეში: პირველი კატეგორიის 3, მეორე კატეგორიის 10, მესამე კატეგორიის 35 მსაჯს.

12. გადავამზადებთ ათ მწვრთნელს ფეხბურთში, ოცს — კალათბურთში, ათს — ქართულ ჭიდაობაში, ოცს — მძლეოსნობაში.

13. მიმდინარე წელს ავაგებთ ორ კეთილმოწყობილ სპორტულ დარბაზს (ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტთან და პედტექნიკუმთან).

14. წლის ბოლოსათვის გვექნება ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ქართული ჭიდაობისა და სხვა 100 სპორტული ნაგებობა.

ჩვენ, ქალაქ გორის ფიზკულტურელი და სპორტსმენი ვაჟები და ქალები, სიტყვას ვიძლევით გადაეარბებით შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა ფიზკულტურელსა და ფიზკულტურულ ორგანიზაციას უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება 1950 წლის სეზონში, დაუღალავად იბრძოლონ მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურის მტკიცედ დანერგვისათვის, ფიზკულტურულ კოლექტივებში სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა რიგების ზრდისათვის, მაღალი სპორტული ტექნიკური მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

ეს იქნება ჩვენი პასუხი იმ დიდ ზრუნვაზე, რომელსაც იჩენენ ფიზკულტურელთა მიმართ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ჩვენი დიდი ბელადი ი. ბ. სტალინი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 22 (410) პარასკევი, 2 ივნისი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

სპორტული ზეიმი რუსთავში



ჩვენს მზიურ რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება ფიზკულტურული მოძრაობა. სოფლად და ქალაქად ახალგაზრდობის თაოსნობითა და მათი უშუალო მონაწილეობით შენდება კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, სტადიონები. ფიზკულტურელთა რიგებს ემატებიან სიცოცხლით სავსე ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც ფიზკულტურული ვარჯიშებით აკაჟებენ თავიანთ სხეულს, გამოიმუშავებენ ამტკიცებენ გაბედულებს, ნებისყოფის, კოლექტივიზმისა და პატრიოტიზმის ჩვენებისა და გრძნობებს.

ეჭვს გარეშეა, რომ მასობრივი ღონისძიებანი — სპორტული დღესასწაულები — ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს ფიზკულტურაში ახალგაზრდობის ახალი მასების ჩასაბმელად.

ამ მხრივ უსათუოდ მოსაწონი და მისასალმელი თაოსნობა გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც გასულ კვირას რუსთავში დიდი სპორტული დღესასწაული გამართეს.

...28 მაისს დილაა. ლენინის სახელობის სტადიონზე თავი მოიყარეს საქართველოს მოწინავე სპორტსმენებმა. აქ არიან სპორტის ოსტატები — მძლეოსნები ლ. სანაძე და ნ. ხნიკინა, ტანმოვარჯიშენი ე. ციხითათრიშვილი, თ. სანებლიძე, ე. გაგოშიძე, ე. კოვლიევა, ე. სტეპანოვა, მოჭიდავენი—დ. ციმაკურიძე, ვ. ილურიძე და მრავალი სხვა.

სრულ 12 საათზე თბილისელ სპორტსმენთა დელეგაცია 200-ზე მეტი კაცის რაოდენობით ავტომანქანებით გაემგზავრა სოციალისტური ქალაქისაკენ. ავტომანქანების კოლონას წინ მიუძღვიან მოტოციკლისტები.

რუსთავში ჩამოვიდა აგრეთვე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა დიდი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა საერთო დღესასწაულში.

აგერ გამოჩნდა ლოზუნგებითა და სპორტული ალმებით კოხტად მორთული რუსთავის სტადიონი. სტუმრები აღტაცებული არიან სტადიონის სილამაზით, მისი ადგილმდებარეობით...

აქ, მართალია, ჯერ არ დამთავრებულა ტრიბუნების, გასახდელების, შხაპების კეთილმოწყობა, მაგრამ ფეხბურთის მწვანე მოედანი, სარბენი ბილიკი, მძლეოსნობის სექტორები კარგ მდგომარეობაშია. ამ სტადიონზე შესაძლებელია დიდი მასშტაბების შეჯიბრებათა ჩატარება.

...აი, მძლეოსნები გავიდნენ სარბენ ბილიკზე, სახტომ ორმოებთან; მათ აინტერესებთ თუ რა პირობებში მოუხდებათ თავიანთი სპორტული ოსტატობის ჩვენება.

დღის 4 საათზე დაიწყო დღესასწაული. აღლუმში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფიზკულტურელებმა და ჩამოსულმა სპორტსმენებმა.

აღლუმის მონაწილეთ მიესალმა ქ. რუსთავის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჰ. მუსერიძე, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ ფიზკულტურული დღესასწაული ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენების მონაწილეობით, რაც რუსთავში პირველად ტარდება ასეთი დიდი მასშტაბით, უსათუოდ შეუწყობს ხელს ქალაქში ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

დამთავრდა აღლუმი. სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით სტადიონის მწვანე მოლზე მწყობრად შემოდის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც ლამაზად და სხარტად ასრულებს დაჭურვის ტიპის თავისუფალ ვარჯიშს. შემდეგ პირველთანრიგოსნები გ. კობახიძე და მ. ჩიკოკოვა თავისუფალ ვარჯიშს ატარებენ. სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბაბილოძე, ტანმოვარჯიშენი კ. კობახიძე, თ. კუბლაშვილი ვარჯიშობენ რგოლებზე...

რუსთავის მოსახლეობის მხურვალე ტაშის ქვეშ სტუდენტები სტოვებენ მოედანს.

სარბიელზე კვლავ ტანმოვარჯიშენი არიან. სპორტის ოსტატები ე. ციხითათრიშვილი, თ. სანებლიძე, ე. გაგოშიძე, თანრიგოსნები თ. აფრიდონიძე, რ. შარაბიძე და სხვები ზუსტად და სხარტად ახორციელებენ რთულ ილეთებს ღერძსა და ორძელზე.

თითქმის ერთდროულად იწყება მოკრივეთა ასპარეზობა და მძლეოსანთა შეჯიბრებები.

რინგზე მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა სპორტსმენების ა. ხუციშვილისა და ა. ფოტიდის შეხვედრამ, რომელიც პირველის კამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

...ალ. ბ. ბ. ... ...

სასპორტო ნაგებობებს — მეჯი მზრუნველობა

გაჩაღდა საზაფხულო სპორტული სეზონი. ფეხბურთელები და მძლეოსნები, კალათბურთელები და ფრენბურთელები, ველოსიპედისტები და ჩოგბურთელები, სპორტის ყველა სახის წარმომადგენლები უკვე დიდი ხანია გავიდნენ სუფთა ჰაერზე, სტადიონებზე, მოედნებზე, ველოტრეკებსა და სხვა სასპორტო ნაგებობებზე. რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს განზრახული აქვთ მიმდინარე წელი სპორტის მასობრივად განვითარებისა და სპორტსმენთა ტექნიკური შედეგების შემდგომი ამაღლებით აღნიშნონ.

1950 წლისათვის მიღებული ფიზიკური კულტურის განვითარების გეგმა ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციას, თვითეულ ფიზკულტურულ მუშაკსა და სპორტსმენს ავალებს კრიტიკულად მიუდგეს მთელი წინა მუშაობის შეფასებას და მიმდინარე წელს გეგმის შესასრულებლად ზუსტად აგოს თავისი მუშაობა და გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა.

ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წლის გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სპორტულ ნაგებობათა არსებულმა და ახლად შესაქმნელმა ქსელმა. ზემეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ფიზიკური კულტურის შემდგომი აღმავლობა და სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა დიდადაა დამოკიდებული სპორტულ ნაგებობათა რაოდენობასა და მათს მდგომარეობაზე.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში ითვლება დაახლოებით 6.200 სხვადასხვა სასპორტო ნაგებობა.

სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების საქმეში დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. მარტო გასულ წელს შეიქმნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 2.164 სხვადასხვა სასპორტო ნაგებობა, მათ რიცხვში 233 საფეხბურთო მოედანი, 270 კალათბურთის, 708 ფრენბურთის მოედანი, 322 ტანვარჯიშის ბაქანი, 450 იმშთ და მშთ დაბრკოლებათა ზოლი, დარბაზები კრივის, ჭიდაობის, სმძიმეთა აწევისათვის, 59 ტანვარჯიშის დარბაზი და სხვ.

სპორტულ ნაგებობათა ამ რაოდენობამ თითქოს უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის ფიზკულტურელთა მზარდი მოთხოვნილება, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა მდგომარეობაა. ბაზების უმეტესობა ცუდადაა მოწყობილი, არაა უზრუნველყოფილი ინვენტარის საკმაო რაოდენობით, მას ნორმალურ მოვლა-პატრონობას არ უწევენ, რის გამო მრავალი მათგანი თავმინებებულია. მსგავსი ნაგებობანი არა მარტო არ დაეხმარება სპორტსმენთა ტექნიკურ ზრდას, არამედ ხელსაც არ შეუწყობს ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმას ფიზკულტურულ მეცადინეობაში. ამ ნაგებობათა დიდი უმრავლესობა მოუმზადებელი შეხვდა მიმდინარე სპორტულ სეზონს, ხოლო ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ახლა მოჰყავთ სათანადო წესრიგში.

„დინამოს“ სტადიონები ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში ისე იყო თავმინებებული, რომ სრულიად არ პასუხობდნენ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისა და შეჯიბრებების ჩატარებისათვის მინიმალურ მოთხოვნებს. ისინი განიცდიდნენ ინვენტარის დიდ სიმცირეს, არ გააჩნდათ პირველი საექმო დახმარების პუნქტები. საჭირო გახდა საოლქო პარტიული ორგანიზაციების უშუალო ჩარევა, რათა ბათუმისა და სოხუმის სტადიონები კაპიტალურად შეკეთებულიყვნენ და ხელახლა მოწყობილიყვნენ.

მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ სოხუმის სტადიონზე დაწყებული მუშაობა ბოლომდე არ იქნება მიყვანილი, საფეხბურთო მოედნის შეკეთება განზრახულია სეზონის ბოლოსათვის(?), ამჟამად კი აწარმოებენ მხოლოდ მძლეოსნური სექტორების ნაწილის წესრიგში მოყვანას.

ქუთაისის „დინამოს“ სტადიონი იმ მდგომარეობამდეა მისული, რომ იქ სპორტსმენების სასპორტო-ტექნიკური შედეგების ზრდაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. მძლეოსნურ ბილიკსა და სექტორებზე ყრია ქვები, ზედ გადაზრდილია ეკალბარდი და ამრიგად მათზე სირბილი ყოვლად შეუძლებელია.

სტალინირში არსებობს მწვანე მოედანი, რომელსაც სტადიონს უწოდებენ. ორი საფეხბურთო კარის გარდა ამ მოედანს არაფერი არ გააჩნია. იქ აგრეთვე არ არის არც მძლეოსნური ბილიკი და არც სექტორები. აბაზანებსა და გასახდელ ოთახებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო და სტალინირის საქალაქო კომიტეტები სრულიად არ აქცევენ ყურადღებას სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობასა და მათ მოვლა-პატრონობას. სტალინირში, მაგალითად, არ მოიპოვება კალათბურთის არც ერთი ნორმალური მოედანი.

დღემდე ჭიანურდება სტადიონის მშენებლობის დამთავრება ქ. გორში. არსებული სპორტული მოედნების მეტი წილი კეთილმოწყობელი და სრულიად მოუვლელია.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული და საქალაქო კომიტეტები თვალყურს არ ადევნებენ სასწავლებლებთან, საწარმოებთან და დაწესებულებებთან არსებულ ბაზებს, ნებაყოფლობითი საზოგადოებებისაგან არ მოითხოვენ სასპორტო ნაგებობათა დროულ შეკეთებას, ათას უკეთ მოვლასა და დაცვას, სპორტული ნაგებობებისა და უმარტივესი მოედნების დიდი უმრავლესობაც კი ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში მოუწყობელია და უყურადღებოდაა მიტოვებული.

ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე პარტიის მიერ დასმული ამოცანები წარმატებით მაშინ შესრულდება, თუ ადგილებზე მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას გამოიჩენენ სპორტულ ნაგებობათა მიმართ. ამიტომ ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს—სპორტულ ნაგებობათა მშენებლობასა და მოვლა-პატრონობას გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

მ. ამნიაშვილი



მცხუნვარე მზიანი დღეების დადგომასთან დაკავშირებით თბილისელი მშრომელები ყოველ კვირას მცხეთის სტუმრები არიან. აქ ისინი საინტერესოდ ატარებენ დასვენების დღეს. სურათზე: დედაქალაქის მშრომელები მტკვარზე ნავებით ხეირნობენ მცხეთის მიდამოებში.

ფოტო ნ. დორეულისა

ახალი ბაზები

ქალაქ სოხუმის ახლახან გახსნილ პიონერთა პარკში შექმნილია ფრენბურთის, კალათბურთის, ტანვარჯიშისა და სროლის სექციები.

პარკში ფიზკულტურის კეთილმოწყობილ მოედნებზე ჭაბუკები და გოგონები ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეს.

პ. ლეთოდიანი

სოხუმი.

* * *

სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის საშუალო სკოლაში მოეწყო ახალი სპორტული ბაზა, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებითა და სატანვარჯიშო ბაქნით.

ს. ჯაში

სოხუმის რაიონი.

* * *

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში დიდი სამუშაოები ჩატარდა ახალი სეზონის შესახვედრად. აქ მოეწყო ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები, აგრეთვე საცურაო აუზი.

ამჟამად ქალაქის ფიზკულტურელები სისტემატურად აწარმოებენ საწვრთნელ მეცადინეობას პარკის მოედნებზე.

ბ. ალშიბაია

ზუგდიდი.

დახმარება — ძირეულ კოლექტივებს

„პიშჩევიკ“-ს“ მესამე რესპუბლიკური კონფერენცია

ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „პიშჩევიკის“ რესპუბლიკური საბჭოს მესამე კონფერენცია. საზოგადოების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. კიზირია.

საანგარიშო პერიოდში „პიშჩევიკის“ საზოგადოებამ ერთგვარი წარმატებები მოიპოვა. ჩამოყალიბდა ფიზკულტურის 108 ახალი კოლექტივი, ფიზკულტურელთა რაოდენობა გაიზარდა 5.000 კაცით. მშთ I საფეხურზე მომზადებულია 1.344 ნიშნოსანი, II საფეხურზე — 180. დიდი მუშაობაა ჩატარებული სპორტსმენთანრიგოსანთა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მოსამზადებლად.

მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის კარგად დაყენებისათვის „პიშჩევიკის“ რესპუბლიკური საბჭო დაჯილდოებულია ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით.

მიუხედავად ამისა, საზოგადოებას თავის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია. რესპუბლიკური საბჭო საკმაო დახმარებას არ უწევს ძირეულ კოლექტივებს; ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭო (ფოთი, მახარაძე, ლანჩხუთი) თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს მათ მუშაობას. დაბალ დონეზეა დაყენებული ფიზკულტურელთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა, დიდი გარღვევაა საუვრო ანარიცხების შეგროვების საქმეში (გეგმა შესრულებულია მხოლოდ 62 პროცენტით). ყოველგვარი მზრუნველობის გარეშეა მიტოვებული მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა.

ცენტრალურ სპორტულ სექციებში გაერთიანებულთა რაოდენობა ძლიერ მცირეა. ასე, მაგალითად, ტანვარჯიშის სექციაში ირიცხება 50 კაცი, კლასიკურ ჭიდაობის სექციაში — 17, ქართული ჭიდაობის სექციაში — 50, სიმძიმეთა აწევის სექციაში — 15 და სხვ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ნ. კადეევი (ბათუმი), გ. ბერძენი (ფოთი), ა. ახალაია (ზუგდიდი), დ. დადიანი (აფხაზეთი), პ. მარტიროსოვი, მ. გორბუნოვი, ა. კარელოვი, ა. მიქელაძე (თბილისი) და „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. თათევოსიანი.

„პიშჩევიკის“ მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საქმიანობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით რესპუბლიკურ საბჭოში აირჩია 21 კაცი, სარევიზიო კომისიაში — 3 კაცი. „პიშჩევიკის“ საკავშირო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად არჩეულ იქნა 7 დელეგატი.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: ი. კიზირია (თავმჯდომარე), ვ. ხომერიკი (მოადგილე), მ. კოდუა, ა. მიქელაძე, ე. ბუაჩიძე, ვ. მარსაგიშვილი და ვ. ხოფერია.

საქართველოს მძღეოსანთა წარმატება

ბაქო. (ჩვენი სპეც. კორ.). მრავალი ათასი ბაქოელი დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩს.

...ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო მარშით შემოვიდნენ შეჯიბრების მონაწილენი. წინ მიდის საქართველოს ნაკრები, მას მიჰყვება აზერბაიჯანელთა კოლექტივი, შემდეგ სომხეთის წარმომადგენლები. აღლუმის მონაწილეთა რიგებში არიან მსოფლიოს რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, სსრ კავშირის რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ამბარცუმიანი, სპორტის ოსტატები ლ. სანაძე, გ. ათანელაშვილი, ნ. ხნიკინა, ხ. მადათოვი, ა. ფომინა და სხვები.

მატჩის მონაწილეთ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბ. აგრანოვიჩმა. მოძმე რესპუბლიკების გუნდებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო ალმები და ცოცხალი ყვავილების თაიგულები.

პირველ შეჯიბრება 100 მეტრზე რბენაში ქალთათვის. დამბაჩის „გასროლა და... სტარტს მოსწყდნენ მორბენლები. წინ მსუბუქად გაიჭრა ე. გოკიელი, რომელმაც პირველმა აიკრა მკერდზე ფინიშის ზონარი. მისი შედეგია 13,2 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი მოსწავლე ნ. გოგიტიძე—13,4 წამი, მესამე ადგილზე აზერბაიჯანელი ნ. ვარგანოვა—13,5 წამი. ამავე მანძილზე მამაკაცთა შორის გაიმარჯვა ლ. სანაძემ (10,8), მეორე ადგილი დაიკავა ს. კუჩერენკომ (საქართველო), მესამე—ხ. მადათოვმა (აზერბაიჯანი)

სიმაღლეზე ხტომებში ყველას აჯობეს საქართველოს წარმომადგენლებმა—ქალთა შორის ს. როზანოვამ შედეგით—145 სანტიმეტრი, მამაკაცთა შორის—სპორტის ოსტატმა გ. ათანელაშვილმა—180 სანტიმეტრი.

ბადროს ტყორცნაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ნ. დუმბაძემ (45,15 მეტრი); მამაკაცთა შორის მძლეოსნობის ამ სახეში პირველ ადგილზე გამოვიდა შ. ტრანკაშვილი (40,50).

12 მეტრსა და 16 სანტიმეტრზე ჭრა ბირთვი აზერბაიჯანელმა სპორტის ოსტატმა ქალმა ა. ფომინამ და პირველობა დაისაკუთრა. საქართველოს სპორტსმენმა ქალებმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. სამაგიეროდ მამაკაცებში ეს შეხვედრა ადვილად მოიგო თბილისელმა გ. ფედოროვმა (14,02 მეტრი).

ე. გოკიელმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი ქვეყნის უძლიერესი თარჯიმრბენელია. საკავშირო რეკორდსმენმა ამჯერად ადვილად მოიგო გარბენი 80 მეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ქოჩლაძე. ძამაკაცთა თარჯიმრბენში 110 მეტრზე ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია აზერბაიჯანის გუნდის წევრმა ა. სემენკოვმა.

ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა სომხეთის წარმომადგენელმა ა. რეკუნოვამ — 1:03,9. ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე პირველი ადგილი დაიკავა აზერბაიჯანელმა ვ. მატვეევმა (53,7 წამი), მეორე—საქართველოს წარმომადგენელმა რ. ტრაპაიძემ (54,8 წამი).

მწვავე ბრძოლებით აღინიშნა რბენა 200 მეტრზე. ამ დისტანციაზე ქალთა შორის გამარჯვება წილად ხვდა ნ. ხნიკინას (26,8 წამი), ვაჟთა შორის—ლ. სანაძეს (23,6 წამი).



საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრებები თარჯრბენში 400 მეტრზე მამაკაცთათვის, რბენა 800 მეტრზე ქალთათვის და მამაკაცებისათვის, სიგრძეზე ხტომები ქალთათვის და მამაკაცებისათვის, გამორბენით სამმაგ ხტომაში, ურიოსა და შუბის ტყორცნაში ქალთა და ვაჟთათვის, რბენაში 1.500, 5.000, 10.000 მეტრზე და 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით. ამ სახეებში საქართველოს გუნდის წევრებმა 8 პირველი ადგილი მოიპოვეს.

10 კილომეტრზე სპორტული სიარულის დროს აზერბაიჯანელმა სპორტის ოსტატმა ი. პოპკოვმა 5 მილი (8.045 მეტრი) გაიარა 35:32,5. ეს შედეგი 0,2 წამით უკეთესია ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე, რომელიც ინგლისელ ჩერჩერს ეკუთვნის.

ამანათრბენი 4×100 ვაჟთა და ქალთა შორის მოიგეს საქართველოს გუნდებმა მ. ქოჩლაძის, ნ. ხნიკინას, ნ. გოგიტიძის, ე. გოკიელის და რ. ტრაპაიძის, ს. კუჩერენკოს, კ. დაროკინის და ლ. სანაძის შემადგენლობით.

შეჯიბრება დასრულდა. პირველ ადგილზე 308,5 ქულით გამოვიდა საქართველოს ნაკრები გუნდი. მას გადაეცა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი.

„ლელოს“ კორესპონდენტთან საუბარში შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა პ. ჟუკოვმა (მოსკოვი) განაცხადა:

— გასულ წლებთან შედარებით საქართველოს კოლექტივის ტექნიკური და ფიზიკური მომზადება უკეთესია. აღსანიშნავია, რომ გუნდის შემადგენლობაში ბევრია ახალგაზრდა სპორტსმენი, რომლებმაც პირველად მიიღეს მონაწილეობა ამ ტრადიციულ მატჩში.

გაუმჯობესდა გრძელ დისტანციებზე რბენის ტექნიკა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სტადიონი კარგად არ იყო მომზადებული შეჯიბრებისათვის. სარბენი ბილიკი ძალზე ფხვიერი იყო, და სწორეთ ამით აიხსნება ის დაბალი შედეგები, რომლებიც იქნა ნაჩვენები.

შედარებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აზერბაიჯანის კოლექტივმა. სუსტი იყო სომხეთის გუნდი.

ი. მღებრიშვილი

* * *

სურათზე: სპორტის ოსტატი გ. ათანელაშვილი ბაქოს სტადიონზე სიმაღლეზე ხტომის მომენტში.

ფოტო მ. ფრიშმანისა და ს. კულიშოვისა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსენია გოგიავა—რესპუბლიკის ჩემპიონი ჭადრაკში

ქ. გოგიავა

* * *

დამთავრდა 1950 წლის საქართველოს საჭადრაკო პირველობა ქალთა შორის. ტურნირის დაწყებამდე ფიქრობდნენ, რომ, როგორც გასულ წლებში, ისე ახლაც, ბრძოლა ჩემპიონის წოდებისათვის უმთავრესად რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა „ძველ თაობას“ (ქ. გოგიავა, ლ. გელოვანი და ბ. ზარგარიანი) შორის გაჩაღდებოდა. მაგრამ შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკეები — ლ. ნაჭყებია, ლ. მებაღიშვილი, ლ. ნანეკაშვილი, ლ. გეგეჭკორი — უბრძოლველად ნახევარ ქულასაც კი არ თმობდნენ.

კენჭისყრის შედეგად პირველ ოთხ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გოგიავა, გელოვანი და ზარგარიანი. დაძაბულ სტარტში 3 ქულით გამარჯვებული გამოვიდა გოგიავა და ტურნირს ჩაუდგა სათავეში. ეს ლიდერობა ნიჭიერმა მოჭადრაკე ქალმა ბოლომდე შეინარჩუნა და შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე უკვე გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონის წოდების მოპოვება. გოგიავამ თანაბარი სიძლიერით, წაუგებლად ჩაატარა ტურნირი და მოაგროვა 8½ ქულა 10 შესაძლებლიდან. ეს გამარჯვება გოგიავასთვის დიდი წარმატებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამას წინათ ჩატარებულ „ბოლშევიკის“ ერთ-ერთ ტურნირში მან შეასრულა პირველი თანრიგის მოჭადრაკის ნორმა.

თუ პირველობისათვის ბრძოლა მაინცდამაინც მძაფრ ხასიათს არ ატარებდა, დანარჩენი ადგილებისათვის სასტიკი ასპარეზობა იყო გაჩაღებული. აქ უმთავრესად ერთმანეთს „შეებნენ“ გელოვანი, ზარგარიანი, წეროძე და ნაჭყებია.

მეორე ადგილის ბედი მხოლოდ უკანასკნელ ტურში გადაწყდა. ბრწყინვალე ფინიშის შედეგად (5 ქულა — 5 შესაძლებლიდან) საქართველოს 1948 წლის ჩემპიონმა ლ. გელოვანმა 7 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მან ამ თვალსაჩინო წარმატებას დიდი სიმტკიცითა და ნებისყოფის დაძაბვით მიაღწია.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ ახალგაზრდა მოჭადრაკე ლ. ნაჭყებიას წარმატებას. ნაჭყებიამ შეჯიბრება აუღელვებლად ჩაატარა, — მას გულს არ უტეხდა ცალკეული პარტიების წაგება და ჩემპიონატის ფინიშზე ორი გადამწყვეტი შეხვედრის მოგებით (წეროძესთან და სამარკინასთან) მოაგროვა 6,5 ქულა და მესამე ადგილი გაიმარჯვა.

მეოთხე და მეხუთე ადგილები ექვს-ექვსი ქულით გაინაწილეს საქართველოს ეხუცესმა მოჭადრაკე ქალმა, რესპუბლიკისა და თბილისის მრავალგზის ჩემპიონმა ბ. ზარგარიანმა და ახალგაზრდა ლ. წეროძემ. თქმა არ უნდა, ზარგარიანისგან ჩვენ მეტს მოველოდით. მაგრამ, პირდაპირ უნდა აღინიშნოს, ტურნირში იგი დაამარცხა თავისი ძალების გადაჭარბებულმა შეფასებამ. ზარგარიანმა ტურნირის შუა ნაწილში ზედიზედ წააგო 4 პარტია და შემდეგ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვეღარ შეძლო წაგებულის აღდგენა. კარგად ჩაატარა ტურნირი ლ. წეროძემ. მხოლოდ სუსტი ფინიშის (1½ ქულა სამში) გამო იგი „მოწყდა“ საპრიზო ადგილებს.

ყოველგვარ გართულებას გაურბოდა ბათუმელი ე. შიოშვილი, რის გამო მან ხუთი პარტია ყაიმით დამთავრა და 5½ ქულით მხოლოდ მეექვსე ადგილის მოპოვება მოახერხა.

მეშვიდე და მერვე ადგილები გაიანაწილეს ლ. მებაღიშვილმა (სოხუმი) და ვ. სამარკინამ (რუსთავი). მხოლოდ ერთი წელია, რაც მებაღიშვილმა ჭადრაკის თამაში დაიწყო და დიდ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი თეორიული და პრაქტიკული მომზადება ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. მოჭადრაკის დიდი სურვილი და ნიჭი იმის საწინდარია, რომ ახლო მომავალში იგი გამოასწორებს თავის ნაკლს და საგრძნობ წარმატებებს მოიპოვებს.

სამარკინა დიდი ხანია ცნობილია, როგორც ძლიერი მოჭადრაკე. მაგრამ 7 წლის მანძილზე იგი ნაკლებად ეწაფებოდა საჭადრაკო ხელოვნებას, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის სატურნირო შედეგებზე.

მეტს მოველოდით ტ. აბრამიშვილისაგან, მაგრამ იმედები ვერ გაგკიმართლა. იგი აჩქარებული და მოუფიქრებელი თამაშით ხშირად კარგად აწყობილ პარტიებს აგებდა.

ლ. ნინიკაშვილსა (ქუთაისი) და ლ. გეგეჭკორს (თბილისი) აუცილებლად სჭირდებათ მეტი მუშაობა თავიანთ თავზე. მათ ჯერ კიდევ არ აქვთ საკმაო თეორიული და პრაქტიკული ჩვევები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის რაიონების მოჭადრაკე ქალები ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩებიან დედაქალაქის წარმომადგენელთ, რომლებმაც ამ ტურნირში სრულიად დამსახურებულად დაიკავეს პირველი ხუთი ადგილი.

ვ. მალაშხია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი

ფეხბურთის მოედნებზე

სსრ კავშირის XII ჩემპიონაჟი

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 2 ივნისისათვის

ძირითადი შემადგენლობები	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტ“.	10	6	4	0	8:2	16
„ზენიტი“	9	7	1	1	26:13	15
„ლოკომ.“ მ.	10	5	4	1	15:12	14
„დინამო“ თბ.	11	5	3	3	19:12	13
ცდკა	8	4	4	0	14:6	12
„სპარტაკი“ მ.	10	4	4	2	19:6	12
ვ ვ ს	9	5	1	3	18:13	11
„დინამო“ ერ.	10	4	3	3	16:14	11
„დინამო“ მ.	10	4	2	4	13:12	10
„დინამო“ ლ.	10	4	2	4	13:13	10
„დაუგავა“	10	3	3	4	8:8	9
„დინამო“ მნ.	12	4	1	7	19:23	9
„დინამო“ კ.	10	2	4	4	9:12	8
„ტორპედო“ მ.	10	2	4	4	8:14	8
„შახტიორი“	10	3	2	5	11:14	8
„ტორპ.“ სტ.	11	2	3	6	11:27	7
„სპარტაკი“ თბ.	10	3	0	7	8:17	6
„ნეფტიანიკი“	10	2	2	6	7:17	6
„ლოკომ.“ ხ.	10	2	1	7	6:16	5

2:1

თითქმის ერთთვიანი „შესვენების“ შემდეგ 30 მაისს ლ. ბ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონი კვლავ მრავალრიცხოვანი მაყურებლით აივსო.

ამ დღეს საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ადგილობრივი „სპარტაკის“ ფეხბურთელები.

თამაშის პირველი ნახევარი ჩატარდა სწრაფი ტემპით და სტუმრების უმნიშვნელო უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ რკინიგზელი სპორტსმენები მეტისმეტად იყვნენ გატაცებული მოკლე გადაცემებით, რაც თბილისელ მცველებს ეერიშების მოგერიებას უადვილებდა.

ამავე დროს სპარტაკელთა თავდასხმას არ ახასიათებდა ის შემეცვი და სწრაფად გააზრებული მოქმედება, რაც მათ გასული წლის სეზონში და გათამაშების პირველ მატჩებში გვიჩვენეს. აღსანიშნავია აგრეთვე მატჩში მარჯვენა შუამარბის არასწორი შერჩევა. ძლიერი ფეხბურთელის მ. გამყრელიძის ამ ადგილზე გამოყენა მეტად საეჭვო და გაუმართლებელი იყო. მეორე შუამარბი ლომაია ბურთის ზედმეტი დამუშავებით იყო გართული და ხშირად თავისი პარტნიორების კარგ კომბინაციას ახშობდა. ამრიგად, სპარტაკელთა ორივე შუამარჯვა სუსტად შეასრულა თავისი ფუნქციები, რამაც უმთავრესი გავლენა მოახდინა მატჩის შედეგზე.

პირველ ტაიმში ინგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მოსკოველებმა ერთგვარად გაუმჯობესეს თამაში და მიღებულ ბურთზე (ნინუა) თბილისელებს 2 გოლით უპასუხეს (პანფილოვი, პეტროვი).

მატჩი დამთავრდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ გამარჯვებით — 2:1.

* * *

26 მაისს რიგაში „დაუგავასა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, ხოლო ხარკოვში თბილისის „სპარტაკმა“ დაამარცხა ადგილობრივი „ლოკომოტივი“ — 1:0.

* * *

საქართველოს 1950 წლის პირველობა



პირველი ჯგუფი

I ნრე

თარიღი	გუნდები	დრო თამაშის	მსაჯი
11 ივნისი	„დინამო“ (ფოთი) — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო	18.00	ო. ჟორდანია
	„დინამო“ (სტალინირი)—„დინამო“ (ბათუმი)	18.00	ს. პანდელოვი
	„დინამო“ (გორი)—„დინამო“ (სოხუმი)	18.00	კ. კრავჩენკო
	ოფიცერთა სახლი (თბილისი) — 26 კომ. რაიონი	18.00	ვ. გვარჯალაძე
	„დინამო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (ხაშური)	18.00	ვ. შავდია
14 ივნისი	ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო —„ტორპედო“ (ქუთაისი)	18.00	კ. კრავჩენკო
	„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ფოთი)	18.00	ო. ჟორდანია
	26 კომ. რაიონი — „დინამო“ (გორი)	15.00	გ. აკობაშვილი
	„დინამო“ (სოხუმი)—„დინამო“ (სტალინირი)	18.00	ვ. შავდია
	„ლოკომოტივი“ (ხაშური) — ოფიცერთა სახლი (თბილისი)	18.00	ს. პანდელოვი
18 ივნისი	„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ბათუმი)	18.00	ო. ჟორდანია
	„დინამო“ (ფოთი)—„დინამო“ (სოხუმი)	18.00	ს. პანდელოვი
	„დინამო“ (სტალინირი)—26 კომ. რაიონი	18.00	გ. აკობაშვილი
	„დინამო“ (გორი)—„ლოკომოტივი“ (ხაშური)	18.00	კ. კრავჩენკო
	ოფიცერთა სახლი (თბილისი) — „დინამო“ (ქუთაისი)	18.00	ვ. გვარჯალაძე
25 ივნისი	„დინამო (ბათუმი) — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო	18.00	პ. გავრილოვი
	„დინამო“ (სოხუმი)—„ტორპედო“ (ქუთაისი)	18.00	კ. კრავჩენკო
	26 კომ. რაიონი—„დინამო“ (ფოთი)	18.00	ვ. კოპაძე
	„ლოკომოტივი“ (ხაშური) — „დინამო“ (სტალინირი)	18.00	ვ. გვარჯალაძე
	„დინამო“ (ქუთაისი)—„დინამო“ (გორი)	18.00	ს. პანდელოვი
2 ივლისი	ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო—„დინამო“ (სოხუმი)	18.00	კ. კრავჩენკო
	„ტორპედო“ (ქუთაისი)—26 კომ. რაიონი	18.	ვ. შავდია
	„დინამო“ (ფოთი)—„ლოკომოტივი“ (ხაშური)	18.00	პ. გავრილოვი
	„დინამო“ (სტალინირი)—„დინამო“ (ქუთაისი)	18.00	ვ. კოპაძე
	„დინამო“ (გორი)—ოფიცერთა სახლი (თბილისი)	18.00	ს. პანდელოვი
9 ივლისი	„დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (ბათუმი)	18.00	ო. ჟორდანია
	26 კომ. რაიონი — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო	18.00	ვ. გვარჯალაძე
	„ლოკომოტივი“ (ხაშური) — „ტორპედო“ (ქუთაისი)	18.00	პ. გავრილოვი
	„დინამო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ფოთი)	18.00	ს. პანდელოვი
	„ოფიცერთა სახლი (თბილისი) — „დინამო“ (სტალინირი)	18.00	ვ. კოპაძე

დასასრული. იხ. გაზეთი „ლელო“ № 21.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თასი

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ გადწყვიტა 1950 წელს ჩაატაროს შეჯიბრება „პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თასზე“ ფეხბურთში. „პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თასზე“ გათამაშება დაიწყება ძირეულ კოლექტივებში. შეჯიბრებები შემდეგ ჩატარდება ოლქებში, მხარეებში და რესპუბლიკებში. უძლიერესი გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალურ მატჩში.

მრავალი დაძაბული მომენტით ხასიათდებოდა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა შეხვედრა ჩვენი ხამშობლოს დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე. ორივე გუნდმა თამაშის მაღალი კლასით, გამარჯვებისაკენ შეუნელებელი სწრაფვითა და შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით ალტაცებაში მოიყვანა 80.000 მაყურებელი. სურათზე: მწვავე მომენტი თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. მეკარე მარლანია ილებს მაღალ ბურთს.

ფოტო ბ. პუშკინისა (საკდესი)



ვ ე ლ ო ს ი პ ე დ ი

დედაქალაქის ბრეკზე

ოთხ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკის დედაქალაქის ტრეკზე შეჯიბრებები თბილისის პირველობაზე ველოსპორტში.

სპორტსმენებმა მრავალი ახალი რეკორდი დაამყარეს.

რესპუბლიკური რეკორდი ქალიშვილებისათვის 200 მეტრზე გიტში დაამყარა ვ. მამულაიშვილმა — 16,7 წამი.

ახალგაზრდა ნიჭიერმა ველოსიპედისტმა ე. ჯიმშელეიშვილმა (მწვრთნელი ი. დიდებულაძე) ახალი მიღწევებით აღინიშნა შეჯიბრება. 500 მეტრი სვლით მან დაფარა 36,2 წამში, რაც ახალი საკავშირო რეკორდია ჭაბუკთათვის. 1.000 მეტრზე ჯიმშელეიშვილმა აჩვენა 1:20,7, ხოლო 500 მეტრზე ადგილიდან — 37,5, რაც ამავე დროს საკავშირო რეკორდია ჭაბუკთათვის.

მამაკაცთა შორის რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს ო. დადუნაშვილმა („ბურევესტნიკი“). 200 მეტრზე გიტში მან უჩვენა 13,1. 500 მეტრი ადგილიდან დადუნაშვილმა დაფარა 36,6 წამში და ამით შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

1.000 მეტრზე სვლით ვ. ჯონჯოლიანმა („ბოლშევიკი“) აჩვენა 1:15,2.

სპორტის ოსტატმა ა. გუნიამ („დინამო“) სალიდერო მარულაში (ლიდერი — სპორტის ოსტატი გ. ლეჟავა) დაამყარა სამი რესპუბლიკური რეკორდი: 10 კილომეტრი გაიარა 10:18,3, 20 კილომეტრი — 21:18,3, 25 კილომეტრი — 26:46,7.

გუნდური პირველობა დაიკავა სპორტსაზოგადოება „ბოლშევიკის“ კოლექტივმა, რომელშიც შედიოდნენ ვ. ჯონჯოლიანი, ი. ვარდიშვილი, ზ. კონსტანტინოვი, ბ. ბელოუსოვა, ნ. ზაიცევა და ზ. როდიონოვა.

ე. ბარშახი

* * *

რიგაში საბჭოთა კავშირის 12 ქალაქის ველოსიპედისტთა მატჩში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა თბილისის ნაკრები გუნდი.

უკანასკნელი ცნობები

„კრილია სოვეტოვი“ — გათამაშების ლიდერი

კუიბიშევი, 1 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის საფეხბურთო პირველობაზე. ქალაქის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და ადგილობრივი „კრილია სოვეტოვის“ გუნდები.

მრავალრიცხოვანი მაყურებელი გატაცებით ადევნებდა თვალყურს მწვავე მატჩს, რომლის ბედი გადაწყვიტა ერთად-ერთმა ბურთმა. იგი გაიტანეს კუიბიშეველებმა, რომლებიც 16 ჭულით კვლავ გახდნენ გათამაშების ლიდერები.

• • •

გუშინ მინსკში ადგილობრივმა „დინამომ“ მოიგო სტალინგრადის „ტორპედოსთან“ — 3 : 1.

—o—

ი. ნემეტის მსოფლიო რეკორდი

ცნობილმა უნგრელმა უროს მტყორცნელმა იმრე ნემეტმა, რომელიც ამას წინათ საბჭოთა მძლეოსნებთან ერთად საწვრთნელ ვარჯიშს გადიოდა შავი ზღვის სანაპიროზე, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მან ურო 59 მეტრსა და 88 სანტიმეტრზე ტყორცნა.

თბილისის სპორტული კვირა

ფეხბურთი. 4 და 7 ივნისი. საქართველოს პირველობა. 26 კომისრის რაიონის სტადიონი. დასაწყისი 18 საათზე.

კალათბურთი. 3-7 ივნისი. „თბილისის თასი“ გათამაშება. კალათბურთის სტადიონი (ციროვის სახელობის პარკი). დასაწყისი 17 საათზე; კვირას—11 საათზე.

ფრენბურთი. 3-9 ივნისი. თბილისის პირველობა. კალათბურთის სტადიონი (ციროვის სახელობის პარკი). დასაწყისი 17 საათზე; კვირას—11 საათზე.

სასტენდო სროლა. 2-3-4 ივნისი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. მონადირეთა კავშირის სასროლო სტენდი (ვაკე). დასაწყისი 17 საათზე, კვირას — 9 საათზე.

კრივი. 4 ივნისი. საკლასიფიკაციო შეჯიბრება. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. დასაწყისი 13 საათზე.

წყალჯოგადრობა. 4-7 ივნისი. „თბილისის თასის“ გათამაშება. ფიზკულტურის პარკი. დასაწყისი 17 საათზე; კვირას — 12 საათზე.

ავტოკროსი. 4 ივნისი. თბილისის პირველობა. მლაშე ტბის მიდამოები. დასაწყისი 11 საათზე.

ჭადრაკი. 4-9 ივნისი. მატჩ-ტურნირი ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა მონაწილეობით. თბილისის საჭადრაკო კლუბი. დასაწყისი 19 საათზე.

მძლეოსნობა. 4 ივნისი. პირადგუნდური საქალაქო შეჯიბრება ტყორცნებში (შუბი და ბადრო). ლენინის სახ. სტადიონი. დასაწყისი 11 საათზე.

სარბენ ბილიკზე, ჩოგბურთის კორტებზე, სათამაშო მოედნებზე

შეჯამდა თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეთა მესამე საზაფხულო სპარტაკიადის შედეგები. სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სროლა, ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი.

სპორტის ყველა ამ სახეში კარგი შედეგები უჩვენა 26 კომისრის სახელობის რაიონის მოსწავლეთა გუნდმა (42,5 ქულა), რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილი დაიკავა სტალინის სახელობის რაიონის ნაკრებმა, მესამე — ლენინის სახელობის რაიონის მოსწავლეებმა.

სპარტაკიადა აღინიშნა ახალი საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდებით. ვაჟთა მე-4 სკოლის მოსწავლემ მ. გეგეშიძემ ბირთვი ჰკრა 16 მეტრსა და 64 სანტიმეტრზე, რაც ახალი საკავშირო რეკორდია 15-16 წლის ჭაბუკთათვის.

3 კილომეტრზე სპორტულ სიარულში 17-18 წლის ჭაბუკთათვის ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა მ. კლიმენტიევმა; მანვე გაუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი 5 კილომეტრზე სიარულში.

ჭოკით ხტომაში კარგ შედეგს (3 მეტრი) მიაღწია მოსწავლე გ. ასათიანმა (37-ე სკოლა), რომელმაც 15-16 წლის ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. საქალაქო რეკორდი ბადროს ტყორცნაში (30,24 მეტრი) დაამყარა ნ. მუხამ (ქალთა 39-ე სკოლა).

სპარტაკიადაზე ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრება პირად პირველობაზე ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 250 ნორჩმა სპორტსმენმა. გოგონათა შორის გაიმარჯვა ლ. კოკაიამ (მე-16 სკოლა), ხოლო ჭაბუკთა შორის — გ. ჩახუნაშვილმა (მე-11 სკოლა).

* * *

არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგია. ტანვარჯიშში შეჯიბრების დროს (უფროსი მსაჯი ნ. მახვილაძე) სამუშაო მოედანი არ იყო შემოკავებული მაყურებელთათვის განკუთვნილი ადგილისაგან, რაც ხელს უშლიდა შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას. გუნდის მწვრთნელები, როცა ისინი მოვარჯიშეთა დაცვაზე იდგნენ, არ იყვნენ სპორტულ ტანსაცმელში. შეჯიბრება, რომელშიც მრავალი პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა, არ იყო უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური მსაჯებით. ხშირად თვით მონაწილენი გამოდიოდნენ მსაჯების როლში (?!).

ფრენბურთის უფროსი მსაჯის ვ. ანტონოვის უყურადღებობის გამო შეჯიბრების დროს 26 კომისრის რაიონის ჭაბუკთა გუნდის კაპიტანმა, რომელსაც არავითარი უფლება არ ჰქონდა შეეცვალა განაცხადი, გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა მოსწავლე კუჭავა, დაბადებული 1931 წელს. რადგანაც ასაკი არ შეეფერებოდა, კუჭავა მოიხსნა შეჯიბრებიდან. აქაც, როგორც ტანვარჯიშში, შეჯიბრების დროს მსაჯებად დაშვებული იყვნენ სპარტაკიადის მონაწილენი.

თბილისის განათლების განყოფილების ფიზიკურზრდის ინსპექციამ და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტმა ზემოაღნიშნულიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ.

* * *

სურათზე: სპარტაკიადის მონაწილე, ქალაქის ვაჟთა მე-16 საშუალო სკოლის მოსწავლე რ. ჭუშტავილი სიმაღლეზე ჭოკით ხტომის დროს. მისი შედეგია 2 მეტრი და 90 სანტიმეტრი.

ფოტო კ. ყუფარაძისა.



ტელევიზორის ეკრანზე

დედაქალაქში ფეხბურთის სეზონის გახსნის დღეს—2 მაისს მაყურებლები ხედავდნენ როგორ შევარდა ბურთით მოსკოვის „დინამოს“ გუნდის კარში ტორპედოელი ნეჩაევი. მაგრამ ხომიჩის სახე თითქმის არავის დაუნახავს, როცა მას ბადიდან ბურთი გამოეჰქონდა. მის სახეზე აღბეჭდილი იყო სინანული, განწირულება, სასოწარკვეთილება. ერთი სიტყვით, ეს იყო მეკარის სახე, რომელიც კარში უშვებს გადამწყვეტ ბურთს...

მაგრამ ზოგიერთმა მაინც მოახერხა დაენახა ხომიჩის სახე მისთვის ამ სამწუხარო მომენტში. იგი დაინახეს იმ მაყურებლებმა, რომლებიც თამაშის დროს სტადიონის ტრიბუნებზე არ ამყოფებოდნენ.

ესენი იყვნენ ტელემაყურებლები. თავიანთ სახლებში, ბინებში და მოსკოვის მახლობლად მდებარე აგარაკებზე ისინი ხედავდნენ ამ მატჩს ტელევიზორის ეკრანიდან. და მეკარის სახეზე განცდათა სამგლოვიარო გამამ მატჩის იმდენ ემოციასა და სპორტულ მცხუნვარებაზე უმობო მათ, რომ „დიდი ფეხბურთის“ დღეს ამ წუთში ტელემაყურებლებს არ შეშურებიათ ჩვენი ქვეყნის მთავარი სტადიონის ტრიბუნაზე ადგილების ბედნიერ მფლობელთა ბედი.





სურათებზე: ზევით — ოპერატორი ი. კრასოვსკი მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთის მატჩის დროს მუშაობის პროცესში; ქვევით — მაყურებლები ტელევიზორის ეკრანთან.

კაცი სატელევიზიო კამერით

...22 მაისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნები კვლავ მაყურებლებით აივსო. თბილისელ დინამოელთა და მოსკოველ სპარტაკელთა შეხვედრა მეტად მწვავე ბრძოლით აღინიშნა.

აი, თბილისელებმა კომბინაცია გაითამაშეს და „სპარტაკის“ საჯარიმო მოედანს მიუახლოვდნენ. ყველა მაყურებელმა მთელი თავისი გულისყური იქითკენ მიაპყრო და მხოლოდ ერთი კაცი არ უცქერის ბურთს —მისი ყურადღება მიიქცია სპარტაკელთა მეკარის ჩერნიშოვის ფიგურამ, რომელიც მღელვარებით მოელის დარტყმას.

ეს კაცი იყო ტელეოპერატორი ა. არონოვი. ჩრდილოეთის ტრიბუნიდან მან „დაიჭირა“ საინტერესო მომენტი „სპარტაკის“ კართან. ამავე დროს ოპერატორი ი. კრასოვსკი ცენტრალურ შესავალთან „იღებდა“, უფრო სწორად, უჩვენებდა მოედნის მეორე ნაწილს.

სატელევიზიო კამერები, რომლებითაც მუშაობენ ოპერატორები, გარეგნულად გადამღე კინოაპარატს წააგავს. ისინი გამოხატულებას ელექტრონულ სიგნალებად აქცევენ.

როგორ ხდება ტელერეპორტაჟი საფეხბურთო მოედნიდან?

როგორ ხდება ორი ოპერატორის მუშაობის მოწესრიგება — ეთერში ხომ ერთ-ერთი მათგანის სიგნალი გადაეცემა?

ორივე კამერის მიერ გაგზავნილი ელექტრონული სიგნალები ხვდება მოძრავი სატელევიზიო სადგურის სარეჟისორო პულტს, რომელიც მოთავსებულია ცენტრალურ კაბინაში ჩრდილოეთ ტრიბუნის სახურავქვეშ. აქედან სიგნალები გადაეცემა ტელეცენტრს და მხოლოდ შემდეგ — ტელევიზორების ეკრანებს.

სამი ეკრანი

თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩის დროს ჩვენ საშუალება მოგვეცა თვალყური გვედევნებინა მოძრავი ტელესადგურის მუშაობისათვის.

მაგიდაზე დადგმულია აპარატურა, რომელიც ღებულობს კამერების სიგნალებს და მას ტელეცენტრს გადასცემს. სამ ეკრანზე აღბეჭდილია მოედანზე თამაშის მომენტი, ორი ეკრანი ოპერატორებისაგან უშუალოდ ღებულობს სიგნალებს, მესამე კი უჩვენებს ერთ-ერთ იმ გამოსახულებათაგანს, რომელიც ამჟამად ეთერში გადაეცემა.

მაგიდას უზის კაცი ყურსაცავითა და მიკროფონით. ძირითადად მასზეა დამოკიდებული სპორტული ტელეგადაცემის ხარისხი.

ეს კაცი რეჟისორია. მაგრამ იგი ოპერატორებთან „სპექტაკლამდე“ კი არ მუშაობს, არამედ მოქმედების დროს. იგი ოპერატორების მუშაობის მართვასთან ერთად მოხერხებულიც უნდა იყოს, კარგად უნდა ესმოდეს თამაში და ამასთანავე რამდენიმედ შეეძლოს მოვლენათა მსვლელობის წინასწარ განჭვრეტა.

...აი, სპარტაკელები ისწრაფიან თბილისის დინამოელთა კარისაკენ.

— პირველმა კამერამ მთელი ყურადღება ბურთისაკენ! მეორე კამერამ — „დინამოს“ კარები მსხვილი პლანით!..—ამბობს რეჟისორი. და ტელემაყურებლები ხედავენ ბურთისათვის ბრძოლას „დინამოს“ კართან, შემდეგ კი მეკარე მარღანიას ფიგურას, რომელიც ბურთის მოლოდინში დაძაბულ პოზაში გარინდულა.

თბილისელებმა „სპარტაკის“ კარში საპასუხო ბურთი გაიტანეს. რეჟისორის განკარგულება, და პირველი კამერა უჩვენებს თუ როგორ იცვლება „0“ ციფრით „1“, მეორე კამერა კი უჩვენებს საათს აღმოსავლეთის ტრიბუნის კოშკზე...

ხმა ეთერში

რეჟისორის პულტის გვერდით მინიან კაბინაში იმყოფება დიქტორი. ეს არის სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჩერნიშოვი.

თუ რადიოკომენტატორის როლი მეტწილად მდგომარეობს იმაში, რომ მოგვითხროს მწვანე მინდორზე მომხდარი ამბების შესახებ, ტელეგადაცემის დიქტორმა, პირველად ყოვლისა, კომენტარი უნდა გაუკეთოს ყოველივე იმას, რასაც ტელემაყურებელი ხედავს ეკრანზე. აქ თამაშს არც ერთი წამით არ შეიძლება ჩამორჩე. რადიოკომენტატორს ხშირად ბურთის გატანის შემდეგ შეუძლია ილაპარაკოს იმაზე, თუ როგორ მოხდა ეს. ტელევიზორში კომენტარები მხოლოდ თამაშის რიტმშია საინტერესო.

* * *

სპორტული ტელეხედვა დაიწყო ფეხბურთიდან — სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და პოპულარული სახიდან. როგორც ყოველი წამოწყება, სპორტული ტელეგადაცემებიც ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან.

მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ სატელევიზიო გადაცემებს აწარმოებენ ნამდვილი ენთუზიასტები ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო მნიშვნელობით, შეყვარებულნი თავიანთ კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა ტელეხედვას აქვს მსოფლიოში მაღალი სიზუსტის ყველაზე ახალი, საუკეთესო სატელევიზიო გადამცემი სისტემა. ეს, ტელევიზორების მასობრივ გამოშვებასთან შეხამებით, ახალ გზებს ხსნის მშრომელთა ფართო მასებში სპორტის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის.

ვ. ვასილიევი

„სოვეტსკი სპორტ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

ლ. პ. ბერიას სახელობის
„დინამოს“ სტადიონი
(ბრძოლის ქ. № 2. ტელ. 3-21-62)
ფეხბურთი
სსრ კავშირის 1950 წლის პირველობა
3 ივნისი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.
„სპარტაკი“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)
დუბლშემადგენლობები
4 ივნისი. დასაწყისი 15 ს.
„სპარტაკი“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)
ძირითადი შემადგენლობები

ლ. პ. ბერიას სახელობის
„დინამოს“ სტადიონი
(ბრძოლის ქ. № 2. ტელ. 3-21-62)
ფეხბურთი
სსრ კავშირის 1950 წლის პირველობა
4 ივნისი. დასაწყისი 17 ს.
„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
დუბლშემადგენლობები
5 ივნისი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.
„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
ძირითადი შემადგენლობები

გაზეთი გამოდის პარასკევობით. | რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, II სართული. ტელეფონი 3-90-34.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000 უე 03686